



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

"სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

შპს ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 19-20 აპრილი, 2021წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 25 ივნისი, 2021წ.

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება	ევროპის უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	კერძო სამართლის იურიდიული პირი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	201954956

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სტომატოლოგია Dentistry
უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ¹	დიპლომირებული სტომატოლოგი Doctor of Dental Medicine (DMD)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0911 დენტალური მედიცინა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	300
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილება №5, 18.01.2016 აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება №167, 22.07.2014

¹ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი ვლადიმერ მარგველაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა მდინარაძე, ღია უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე გიგინეიშვილი, საქართველოს უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით მაკასარაშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებული დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 22 ივლისის N 167 გადაწყვეტილების შესაბამისად. 2019 წლის 22 ივლისიდან პროგრამა ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში. პროგრამის გაუმჯობესებისა და ხელახალი აკრედიტაციისთვის შეიქმნა პროგრამის კომიტეტი, რომელმაც ახალი საკანონმდებლო მოთხოვნების კვალდაკვალ, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამა განაახლა და წარადგინა აკრედიტაციისთვის. პროგრამაში ჩართულია 138 ადამიანი, მათ შორის 52 აკადემიური პერსონალი და 86 მოწვეული სპეციალისტი. მათგან 26 ევროპის უნივერსიტეტთანაა აფილირებული.

განახლებულ პროგრამაში წარმოდგენილია ცვლილებების რიგი, რაც უკავშირდება პრაქტიკის კომპონენტის გაზრდას და გაძლიერებას, არჩევითი და სავალდებულო საგნების

თანაფარდობის ცვლილებას. დაემატა და შეიცვალა სტომატოლოგიის მიმართულების საგნების ნაწილი. აღნიშნული ცვლილებები ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა დადებითად.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განახლების პროცესში ძირითად ცვლილებად პროგრამის კონცეფციის შეცვლა უნდა ჩაითვალოს, რაც გამოიხატა ნაწილობრივ ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში. ინტეგრირებული პროგრამის ძირითადი მახასიათებელია საბაზისო სასწავლო კურსების ჰორიზონტალური ინტეგრაცია.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა იყოფა 3 ნაწილად:

I ნაწილი - ადამიანის ორგანიზმის სტრუქტურა და ფუნქციები

II ნაწილი - ჯანმრთელობის და ავადობის მექანიზმები

III ნაწილი - ძირითადი სწავლის სფეროს კლინიკური სასწავლო კურსები

აღნიშნულ პროგრამაში მნიშვნელოვან დადებით ცვლილებად უნდა ჩაითვალოს მასში კლინიკური უნარების განვითარების 4 სასწავლო კურსის და სამეცნიერო კვლევის 6 სასწავლო კურსის დამატება, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტს, განვითარდეს დარგის თანამედროვე პროფესიონალად.

კლინიკური უნარების სასწავლო კურსი გაიზარდა 14 კრედიტამდე.

დაინერგა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE).

ტრანსფერული უნარების განვითარების უზრუნველყოფა ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL- Problem Based Learning) და კლინიკური შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL - case based learning).

უნივერსიტეტის რესურსები, მათ შორის საუნივერსიტეტო კლინიკა და კლინიკური ბაზები პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო შედეგების მიღწევის ერთგვარ გარანტს წარმოადგენს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

უნივერსიტეტში ექსპერთა გუნდის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 19-20 აპრილს. შეფასების პროცესმა ჩაიარა საქმიან და კომფორტულ გარემოში. უნივერსიტეტი იყო მომზადებული და კეთილგანწყობილი. დოკუმენტაცია გადმოგზავნილი იყო სრულად და დროულად. შესაძლებლობა გვქონდა ჩაგვეტარებინა გასაუბრებები (ინტერვიუები) და დაგვეთვალაიერებინა უნივერსიტეტის რესურსები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ევროპის უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი თანხვედრაშია უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებულ მიზნებთან, მის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან. უნივერსიტეტს გააჩნია რესურსი, უზრუნველყოს პროგრამის მიზნებით გათვალისწინებული შემდეგი შედეგები.

უნივერსიტეტმა პროგრამაში ცვლილებები შრომის ბაზრის კვლევაზე დაფუძნებით შეიტანა და გაზარდა პრაქტიკის კომპონენტი. გამოწვევად რჩება ინტერნაციონალიზაციის და საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობის საკითხი.

პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის მიზნების შესაბამისია. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამა ნათლად ასახავს თუ რა ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას შესძენს და განუვითარებს სტუდენტებს. შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია.

იმის მიუხედავად, რომ პროგრამის შემუშავებაში დამსაქმებელთა აქტიური ჩართულობა ინტერვიუებით პრაქტიკულად არ დასტურდება, უნივერსიტეტის დაკვეთით ჩატარებულია სამედიცინო პერსონალის დამსაქმებლის კვლევა, რის საფუძველზეც დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი შემდგომში გათვალისწინებულია პროგრამაში.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები, მიმდინარე აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა, ცხრილი და სხვა პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია და მისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ცხადი, ნათელი და გაზომვადია ახალი პროგრამით წარმოდგენილი სწავლის შედეგები.

პროგრამას ახლავს სამიზნე ნიშნულები, უნივერსიტეტის რესურსების გათვალისწინებით, სწავლის შედეგების შეფასებით გამოვლენილი მიგნებების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან მათი დადარება რეალისტურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამა ითვალისწინებს სწავლა-სწავლების მრავალ და თანამედროვე მეთოდს. პერსონალი გადამზადებულია. თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

უნივერსიტეტს მოწესრიგებული აქვს დოკუმენტაცია და პროგრამა ჰარმონიაშია საკანონმდებლო მოთხოვნებთან.

ცალკეულ შემთხვევებში აღინიშნება სახელმძღვანელოების პრობლემა, კერძოდ სილაბუსებში მითითებულია ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები.

უნივერსიტეტს ღია კომუნიკაცია აქვს სტუდენტებთან, უკუკავშირის მიღება მუდმივ რეჟიმში ხორციელდება, თუმცა, რიგ შემთხვევებში, იგნორირებულია კომუნიკაციის ფორმალური გზები.

პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს და მოწვეულ სპეციალისტებს აქვთ პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენციები და შესაბამისი კვალიფიკაცია, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ სადაც განსაზღვრულია მოწვეული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები და

დასაქმების პროცედურა. აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის და უნივერსიტეტში მოქმედი ევროპის უნივერსიტეტის

მოქმედი წესის თანახმად. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს დაკისრებული ფუნქციების სათანადოდ შესრულებას. პერსონალის რაოდენობა საკმარისია უნივერსიტეტის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური და მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობით.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა.

სტომატოლოგიის პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია უნივერსიტეტის მიერ პროგრამის მხარდაჭერა და გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

▪ რეკომენდაციები

- პრაქტიკულ/კლინიკურ ყველა სასწავლო კურსში შეფასება გახდეს გამჭირვალე და გაზომვადი.
- პაციენტების მიღება კლინიკურ საგნებში გახდეს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი.

- გაიზარდოს სტუდენტთა უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან, სილაბუსებში გაიწეროს და დაკონკრეტდეს პაციენტებზე ჩასატარებელი კონკრეტული, სავალდებულო მანიპულაციების რაოდენობა.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უნივერსიტეტმა უნდა გააქტიუროს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაზე მუშაობა და დაამყაროს საერთაშორისო კავშირები სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართვის და მობილობის უზრუნველსაყოფად, რათა სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ გაიუმჯობესონ აკადემიური მიღწევები და მზარდაჭერა ჰქონდეთ საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად.
- ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში დაემატოს ლექტორის მიერ მიწოდებული დამხმარე მასალები, „ჰენდაუტები“
- სასურველია განხორციელდეს სასწავლო კურსების ვერტიკალური და სპირალური ინტეგრირება.
- აქტიურად გაგრძელდეს და გაძლიერდეს საერთაშორისო მობილობის გაზრდის მიზნით საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურისა და უნივერსიტეტის მიერ მუშაობა.
- სასურველია პროგრამის შემუშავებაში სტუდენტები ჩაერთონ არა მხოლოდ ირიბად, გამოკითხვების სახით, არამედ უშუალოდ. აღნიშნულის მიღწევის ერთ-ერთი გზა უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტურ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირი შეიძლება იყოს.
- სასურველია აკადემიური პერსონალის მიერ ქულობრივი ვალდებულებების შესრულების დროს ფაკულტეტის მიერ მოხდეს მეტი ხელშეწყობა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში, მასტერკლასებში მათი ჩართულობისათვის. ფაკულტეტის მიერ გამოყოფილი თანხა წლის განმავლობაში არ არის საკმარისი აღნიშნული ქულობრივი ვალდებულებების მისაღწევად, განსაკუთრებით დარგის სპეციალისტებისათვის, როგორც აკადემიური ასევე მოწვეული ლექტორებისათვის, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული უნარების ამაღლებას და გაუმჯობესებას.
- ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალში მოხდეს დარგობრივი ნაშრომების გამოქვეყნება და სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობა პროფესორ-მასწავლებელთა თანაავტორობით.

- სასურველია სტომატოლოგიური სიმულაციური და პრაქტიკული ლაბორატორიების გაფართოება, სიმულაციური სტომატოლოგიური დანადგარების დამატება პრეკლინიკური სწავლებისათვის, სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით.
- დარგის სპეციალისტებისათვის, როგორც აკადემიური ასევე მოწვეული ლექტორებისათვის, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული უნარების ამაღლებას და გაუმჯობესებას მოხდეს ფაკულტეტის მხრიდან მეტი ფინანსური ხელშეწყობა.
- დამსაქმებლების აქტიურად ჩართვა პროგრამის შემუშავების, პროგრამაში ცვლილებების შეტანის და პროგრამის გაუმჯობესების პროცესში

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ნახევრად ინტეგრირებული კურიკულუმის შემუშავება

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდისა (OSCE) და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდის (OSPE) დანერგვა
- პრაქტიკული მუშაობისთვის განკუთვნილი კრედიტების და საათების გაზრდა

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ფორმულირებულია შემდეგი სახით: „პროგრამის მიზანია თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიონალი სტომატოლოგის მომზადება, რომელიც: ფლობს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს, რომელიც კვალიფიციურად გამოიყენებს კვლევით, ეთიკურ და კომუნიკაციურ უნარებს, პროფესიულად განვითარდება მუდმივად ცვალებად გარემოში“.

პროგრამის მიზნების ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია და ასახავს თუ რა ცოდნის, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის იგი მიმართული.

პროგრამის მიზნები თანხვედრაშია უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებულ მიზნებთან, მის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან. უნივერსიტეტს გააჩნია რესურსი, უზრუნველყოს პროგრამის მიზნებით გათვალისწინებული შემდეგი შედეგები:

- მოამზადოს შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი დიპლომირებული სპეციალისტები, მისცეს მას შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება უნივერსიტეტის რესურსების შესაბამისად, რაც გულისხმობს პრაქტიკის შესაძლებლობას საუნივერსიტეტო კლინიკაში და თეორიული ნაწილის ათვისებას პროგრამით გათვალისწინებული მეთოდების შესაბამისად.
- უნივერსიტეტი იძლევა შესაძლებლობას, სტუდენტს გააჩნდეს ბაზისური ცოდნა კვლევისა და მომავალი სამეცნიერო აქტივობების მიმართულებით, კრიტიკული აზროვნების, ინოვაციური და აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარებით.
- ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თვითრეალიზებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობას.
- პროგრამა მეტწილად გაზიარებულია პროგრამაში ჩართული მხარეების მიერ;

პროგრამის ფარგლებში გამოიყენება თანამედროვე ლიტერატურა (როგორც ქართულენოვანი ასევე ინგლისურენოვანი), რაც უზრუნველყოფს დარგში საერთაშორისო და თანამედროვე მიღწევების გაზიარებასა და შესწავლას.

პროგრამის მიზნები ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევას, მიმართულია სტომატოლოგიური პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამომუშავებისაკენ.

უნივერსიტეტმა პროგრამაში ცვლილებები შრომის ბაზრის კვლევაზე დაფუძნებით შეიტანა და გაზარდა პრაქტიკის კომპონენტი. გაიზარდა კრედიტების რაოდენობა სტომატოლოგიურ საგნებშიც, პროგრამის მოდიფიცირების შემდეგ ის გახდა უფრო მეტად პრაქტიკაზე ორიენტირებული, თუმცა გამოწვევად რჩება ინტერნაციონალიზაციის და საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობის საკითხიც, რაც დასტურდება როგორც ინტერვიუებით (როგორც სტუდენტებთან, ისე აკადემიურ პერსონალთან), ასევე წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშში, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი ადასტურებს აქტიურ მუშაობას აღნიშნული მიმართულებით, სასურველია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება კონკრეტულად სტომატოლოგიის პროგრამასთან მიმართებაში.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე, საჯაროა და ხელმისაწვდომი ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (<https://eu.edu.ge/ge>).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.
- თვითშეფასების დოკუმენტი
- ადგილზე ვიზიტის (დათვალიერების) შედეგები;
- უსდ-ის მისია და სტრატეგია
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (<https://eu.edu.ge/ge>).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

უნივერსიტეტმა უნდა გააქტიუროს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაზე მუშაობა და დაამყაროს საერთაშორისო კავშირები სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტების გავცლით პროგრამებში ჩართვის და მობილობის უზრუნველსაყოფად, რათა სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ გაიუმჯობესონ აკადემიური მიღწევები და მზარდაჭერა ჰქონდეთ საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშზე, საგანმანათლებლო პროგრამასა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულების შემდეგ. შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები ზოგადი კომპეტენციების განვითარებაზე, სტუდენტის კვალიფიკაციის, ზოგადი სამედიცინო განათლების, ადამიანის უფლებების, ეთიკის პრინციპების განვითარების და პატივისცემის ხელშეწყობისაკენაა მიმართული.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია გაანალიზდეს თუ რომელ შედეგზე გადის კონკრეტული სასწავლო კურსი.

განახლებული პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. როგორც პერსონალი, ისე სტუდენტები და კურსდამთავრებულები პროგრამის ძლიერ მხარედ სწორედ საუნივერსიტეტო კლინიკაში პრაქტიკულ მუშაობის შესაძლებლობას მიიჩნევენ. არსებული რესურსი, პროგრამის დეკლარირებული მიზნები და პროგრამაში შეტანილი ცვლილებები სწავლის შედეგების მიღწევის წინაპირობას წარმოადგენს.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია დარგისა და ბაზრის მოთხოვნებთან. პროგრამის განვითარების პროცესში გათვალისწინებული იქნა რეკომენდაციები დამსაქმებლების მხრიდან, რაც ეხებოდა სტუდენტთა პრაქტიკული უნარების მეტად განვითარებას, ყოველივე კი უზრუნველყოფს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. აღნიშნული სასწავლო კურსების შესწავლა საშუალებას მისცემს სტუდენტს დასაქმდეს ექიმის ასისტენტის პოზიციაზე, ან შემდგომში გააგრძელოს სწავლა.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები მიღწევადი და გაზომვადია. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით

პროგრამის განახლების შემდგომ განახლდა შეფასების სისტემაც. პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევის შესაფასებლად ჩართულია ხარისხის კონტროლის სხვადასხვა მექანიზმები სასწავლო პროცესის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე, ესაა სტუდენტების და პერსონალის გამოკითხვა, მონიტორინგი, შედეგების ანალიზი, სტუდენტებთან გაცნობა და კონსულტაციები.

პროგრამას ახლავს სამიზნე ნიშნულები, უნივერსიტეტის რესურსების გათვალისწინებით, სწავლის შედეგების შეფასებით გამოვლენილი მიგნებების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან მათი დადარება რეალისტურია.

პროგრამის სწავლის შედეგების შესამოწმებლად გამოყენებულია თეორიული და კლინიკური უნარების დამადასტურებელი გამოცდები, შეფასების ფორმები გახდა უფრო მრავალფეროვანი, ფასდება არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული პრაქტიკული უნარ-ჩვევები, დაინერგა OSCE და OSPE გამოცდა. სწავლის მეთოდებში აქცენტი კეთდება CBL და PBL სწავლების მეთოდებზე;

პროგრამის სწავლის შეფასების პროცესში ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, განმახორციელებელი პერსონალი, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები. დამსაქმებლების მიერ ხდებოდა მათთან დასაქმებული სტუდენტების შეფასება, კურსდამთავრებულების მხრიდანაც იქნა გარკვეული რეკომენდაციების მიღება, რაც დათვალიწინებული იქნა პროგრამის შემუშავების დროს. შესაბამისად კურსდამთავრებულებიც აფასებენ საკუთარ ცოდნასა და უნარებს, რაც არაპირდაპირი გზით პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების საშუალებას იძლევა.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და აკადემიურმა პერსონალმა გაიარა პროფესიული გადამზადება სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანალიზის შედეგების გამოყენების ანგარიში;
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი, შედეგების გამოყენების ანგარიში;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი, შედეგების გამოყენების ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი, შედეგების გამოყენების ანგარიში;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი, შედეგების გამოყენების ანგარიში;
- სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები.
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- უნივერსიტეტის დაკვეთით ჩატარებული „სამედიცინო პერსონალის დამსაქმებლის კვლევა“
- კურსდამთავრებულთა დასაქმების და უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებლები
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (<https://eu.edu.ge/ge>).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

დიპლომირებული სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, დიპლომირებული სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დიპლომირებული სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე მოხილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის (<https://eu.edu.ge/ge>).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენისა და კრედიტების აღიარების წესით“
- თვითშეფასების დოკუმენტი
- ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა დაფუძნებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების“ შესაბამისობაზე (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 მარტის №65 ბრძანებით).
--

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

სტომატოლოგიის პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: ლექციებს, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას.

სტომატოლოგიის პროგრამა ჰორიზონტალურად არის ინტეგრირებული და ეფუძნება საბაზისო მეცნიერებებისა და კლინიკური საგნების ჰარმონიულ შერწყმას, რაც მიიღწევა საბაზისო, პრეკლინიკური და კლინიკური დისციპლინების ჰორიზონტალური ინტეგრაციის გზით.

სტომატოლოგიის პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით). პროგრამის სტრუქტურა (300 კრედიტი, 1 ECTS = 25 საათი) მოიცავს:

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტები - 270 კრედიტის მოცულობით. მათ შორის:

ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტებს 258 კრედიტის მოცულობით;

ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კომპონენტებს 12 კრედიტის მოცულობით.

საგანმანათლებლო პროგრამა ასევე ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს 30 კრედიტის მოცულობით, მათ შორის:

თავისუფალ კომპონენტს 20 კრედიტის მოცულობით, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე;

ბ) თავისუფალ კომპონენტს 10 კრედიტის მოცულობით, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან.

პროგრამით გათვალისწინებული დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური და შედეგის მიღწევაზე ორიენტირებული. პროგრამის შემუშავების პერიოდში შექმნილი იყო პროგრამის კომიტეტი, რომლებიც დამომპლექტებული იყო აკადემიურ პერსონალით, მოწვეული

სპეციალისტებით, სტუდენტებით, კურსდამთავრებულებით და დამსაქმებლებით. პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნა პროგრამის კომიტეტის წევრთა გამოკითხვები და მათი სურვილები დარგში თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებისა და იმ აუცილებელი უნარ-ჩვევების შესახებ, რასაც კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული კურიკულუმის რუკის მიხედვით თითოეული სწავლის შედეგი გადის სწავლების სამივე დონეზე (გაცნობა; გაღრმავება; განმტკიცება) პროგრამა შეფასებულია სტუდენტთა გამოკითხვის მეშვეობით და მიღებული აქვს მაღალი შეფასება. ინფორმაცია პროგრამის შესახებ საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 მარტის №65 ბრძანებით). - საგანმანათლებლო პროგრამა - თვითშეფასების დოკუმენტი - კურიკულუმის რუკა - ვებ-გვერდი - პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი ოქმები - გამოკითხვის შედეგები - ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და კურსის შინაარსი შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის და კურსის შედეგებთან. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული თემატიკა სასწავლო პროცესთან ნამდვილად თანხვედრაშია. სტომატოლოგიის პროგრამა მიმდინარეობს სემესტრულად, თითოეულ სასწავლო კომპონენტის დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. თითოეული სასწავლო კურსი შექმნილია საჭირო საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, რომელიც

ითვალისწინებს სტუდენტის მუშაობისთვის განკუთვნილ საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს.

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს, არის თანამედროვე, სტუდენტებს უზრუნველყოფს უახლესი ინფორმაციით, რაც ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები სტანდარტებთან მეტწილად შესაბამისობაშია. გვაქვს რამოდენიმე შენიშვნა, კერძოდ:

№ 1

ენდოდონტიის კლინიკური კურსი- ავტორი მიუთითებს, რომ მინი OSCE-ის გამოცდა ფასდება:

3-5 ქულა: კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს OSCE კრიტერიუმებს, წარმოადგენს პრაქტიკულ დავალებას სრულად და თავდაჯერებულად;

1-2 ქულა: კანდიდატი ნაწილობრივ აკმაყოფილებს OSCE კრიტერიუმებს, მცირედი ხარვეზებით ასრულებს პრაქტიკული დავალებას;

0 ქულა: კანდიდატს არ შეუძლია დააკმაყოფილოს OSCE რომელიმე კრიტერიუმი.

სასურველია შეფასება გახდეს მეტად გამჭირვალე და გაზომვადი.

№ 2

პაროდონტოლოგიის კლინიკური კურსი- ავტორი მიუთითებს, რომ მინი OSCE-ის გამოცდა ფასდება:

3-5 ქულა: კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს OSCE კრიტერიუმებს, წარმოადგენს პრაქტიკულ დავალებას სრულად და თავდაჯერებულად;

1-2 ქულა: კანდიდატი ნაწილობრივ აკმაყოფილებს OSCE კრიტერიუმებს, მცირედი ხარვეზებით ასრულებს პრაქტიკული დავალებას;

0 ქულა: კანდიდატს არ შეუძლია დააკმაყოფილოს OSCE რომელიმე კრიტერიუმი.

სასურველია შეფასება გახდეს მეტად გამჭირვალე და გაზომვადი.

№ 3

პირის ღრუს ქირურგია- ავტორი მიუთითებს, რომ მინი OSCE-ის გამოცდა ფასდება:

3-5 ქულა: კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს OSCE კრიტერიუმებს, წარმოადგენს პრაქტიკულ დავალებას სრულად და თავდაჯერებულად;

1-2 ქულა: კანდიდატი ნაწილობრივ აკმაყოფილებს OSCE კრიტერიუმებს, მცირედი ხარვეზებით ასრულებს პრაქტიკული დავალებას;

0 ქულა: კანდიდატს არ შეუძლია დააკმაყოფილოს OSCE რომელიმე კრიტერიუმი.

სასურველია შეფასება გახდეს მეტად გამჭირვალე და გაზომვადი.

№ 4

სილაბუსში „ პაროდონტოლოგიის შესავალი კურსი“ ავტორი მიუთითებს, რომ სტუდენტი განსაზღვრავს და ხსნის სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური ნორმებისა და სამართლებრივი რეგულაციების გამოყენების მნიშვნელობას.

აფასებს და ასაბუთებს შემდგომი პროფესიული განვითარებისა და დარგში არსებული სიახლეების მუდმივად გაცნობის აუცილებლობას. იცავს პაციენტის კონფიდენციალურობას და ინტერესებს პროფესიული ეთიკის ფარგლებში;

მოიძიებს ახალ ინფორმაციას და ავსებს საკუთარ ცოდნას;

სასურველის მიღებული შედეგების შეფასება.

№ 5

ორთოდონტიის, ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის სილაბუსებში მითითებულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რაც უდავოდ წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკას, თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ ყველას არ აქვს ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი კომპეტენცია, გარდა ამისა პროგრამა

არის ქართულენოვანი და ამიტომ სასურველია სასწავლო კურსებს დაემატოს ლექტორის მიერ მიწოდებული დამხმარე მასალები, „ჰენდაუტები“

№ 6

სასწავლო კურსებში გადანაწილდეს ადეკვატურად შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე საკონტაქტო საათების რაოდენობა. დასკვნით გამოცდაზე გაორმაგებულია საგამოცდო საკითხების რაოდენობა შუალედურთან შედარებით, თუმცა ორივე გამოცდას დათმობილი აქვს 2-2 საათი. სასურველია , გაიზარდოს დასკვნით გამოცდაზე საკონტაქტო საათების რაოდენობა.

პროგრამაში ძირითადი აქცენტი მიმართულია თეორიული მზადებისაკენ, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია. სპეციალობის საგნებში როგორიცაა მაგალითად: ოპერაციული ოდონტოლოგიის კლინიკური კურსი; ენდოდონტიის კლინიკური კურსი; ორთოპედიული სტომატოლოგია; ორთოდონტია და ა.შ. სტუდენტებს არ უწევთ სავალდებულო მარტივი მანიპულაციების შერულება პაციენტებზე. არ არის სავალდებულო მარტივი მანიპულაციები და მათი რაოდენობა სილაბუსებში გაწერილი, რაც უნდა შესრულდეს პაციენტებზე და არა ფანტომებსა და მულაჟებზე, რათქმაუნდა ექიმი სტომატოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ, მითუმეტეს სასწავლო პროგრამის ბოლო კურსზე მაინც. ინტერვიუს დროს აღინიშნა როგორც ლექტორებისგან, ასევე სტუდენტებისგან რომ სურვილის შემთხვევაში სტუდენტები ასრულებენ მანიპულაციებს. ყოველივე ეს არ ქმნის ბარიერს საგნის წარმატებით დასასრულებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- პრაქტიკულ/კლინიკურ ყველა სასწავლო კურსში შეფასება გახდეს გამჭირვალე და გაზომვადი.

• პაციენტების მიღება კლინიკურ საგნებში გახდეს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი. • გაიზარდოს სტუდენტთა უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან, სილაბუსებში გაიწეროს და დაკონკრეტდეს პაციენტებზე ჩასატარებელი კონკრეტული, სავალდებულო მანიპულაციების რაოდენობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში დაემატოს ლექტორის მიერ მიწოდებული დამხმარე მასალები, „ჰენდაუტები“ • სასურველია განხორციელდეს სასწავლო კურსების ვერტიკალური და სპირალური ინტეგრირება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ შუალედური და დასკვნითი კლინიკური გამოცდები
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ პრაქტიკული მუშაობისთვის განკუთვნილი კრედიტების და საათების გაზრდა
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტომატოლოგიის პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს გამოუმუშავდებათ კლინიკური უნარ-ჩვევები, რაშიც მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის კლინიკურ ბაზებზე სტუდენტთა მუშაობა უშუალოდ პაციენტებთან პროფესორის მეთვალყურეობის ქვეშ. ლაბორატორიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და ჩამოყალიბებისთვის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო ლაბორატორიები, სადაც სტუდენტები დამოუკიდებლად, სასწავლო კურსის ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ, ახორციელებენ სილაბუსით გათვალისწინებულ სამუშაოებს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სიმულაციური ცენტრი, სადაც შესაძლებელია როგორც სასწავლო პროცესის განხორციელება, ასევე გამოცდის ორგანიზება. ასევე განახლდა საფანტომო კლასი, სადაც სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან ყველა საჭირო მოწყობილობებითა და მასალებით სპეციალობის პრეკლინიკური უნარების ასათვისებლად. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის სამეცნიერო - კვლევითი უნარების განვითარებას, რისთვისაც პროგრამაში დათმობილია 23 კრედიტი. სტუდენტების სწავლობენ კვლევის მეთოდოლოგიას და მეთოდებს, კვლევის შედეგების ანალიზს, შედეგების პრეზენტაციას და სამეცნიერო ნაშრომების წერის სპეციფიკას, ახორციელებენ კვლევით პროექტებს. სტუდენტებს უმუშავდებათ ტრანსფერული უნარები. აღნიშნული სასწავლო კურსები პროგრამის სავალდებულო კომპონენტებს წარმოადგენენ, რაც ნიშნავს იმას, რომ უზრუნველყოფილია ყველა სტუდენტის მონაწილეობა სასწავლო კვლევით პროექტში ინდივიდუალური ან ჯგუფური სახით.

სტუდენტთა კვლევითი უნარების გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს სასწავლო / კვლევითი ლაბორატორიები.

სტუდენტურ კვლევით პროექტებსა და ნაშრომებზე მუშაობას ხელმძღვანელობს შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი პესონალი, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა კვლევების დაგეგმვისა, განხორციელების, სამეცნიერო ნაშრომების მომზადებისა და გამოქვეყნების გამოცდილება. პრაქტიკის კომპონენტის მართვაში აქტიურად არის ჩართული დამსაქმებლები, რომლების უნივერსიტეტთან შეთანხმებით განსაზღვრავენ კლინიკურ ბაზებზე მივლენილი სტუდენტების რაოდენობას თითოეულ ჯგუფში და ასევე სასწავლო კურსის შესაბამისად საკონტაქტო საათების რაოდენობას.

სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს სტუდენტურ კონფერენციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპის უნივერსიტეტის კვლევის დაფინანსების წესი;
- პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რაგირების პროცესი და მექანიზმები;
- თანამშრომლობის მემორანდუმები სამედიცინო და სტომატოლოგიურ კლინიკებთან;
- ევროპის უნივერსიტეტის ლაბორატორიები (ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კორპუსი, თბილისი, 0189, სარაჯიშვილის ქ. 17);
- ევროპის უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრი (ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კორპუსი, თბილისი, 0189, სარაჯიშვილის ქ. 17);
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (<https://eu.edu.ge/ge>)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; კლინიკურ გარემოში პრაქტიკული სწავლება წარმოადგენს პროგრამის ძლიერ მხარეს.

სწავლა-სწავლების პროცესისთვის სასწავლო პროგრამაში შეტანილია შემდეგი მეთოდები: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სწავლება-სწავლის მეთოდები თავის მხრივ მოიცავენ სხვადასხვა აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, ინტერაქტიული მუშაობა, აუდიო-ვიზუალური მუშაობა, დისკუსია/დებატები, როლური თამაში, ჯგუფური (გუნდური) მუშაობა, PBL (Problem-based learning) - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება, ლაბორატორიული მუშაობა, სიმულაციურ

ცენტრში მეცადინეობა სიმულატორებისა და მანეკენების გამოყენებით, CBL (Case-based learning) - შემთხვევის განხილვაზე დაფუძნებული სწავლება, კლინიკური პრაქტიკა / სწავლება ავადმყოფის საწოლთან, კლერკშიფი.

უნივერსიტეტში მოქმედებს „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“, რომლითაც სარგებლობა შეუძლია სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტს. პროგრამაზე უცხოელი სტუდენტის არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტი ითვალისწინებს მათ კულტურულ და/ან სხვა საჭიროებებს სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებისას.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ყოველ სემესტრში შედგენილია საკონსულტაციო შეხვედრების განრიგი, რომელიც საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფებზე და სტუდენტსა და სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალს შორის მასალების საკომუნიკაციოდ ევროპის უნივერსიტეტის მიერ გამოყენებულ Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმაზე (<https://moodle.edu.ge/moodle/>).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტთა შეფასების ფორმები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგებზე გასვლას, თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

დასკვნითი გამოცდის ფორმატი (კლინიკური გამოცდა) წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. გამოცდა ტარდება საუნივერსიტეტო კლინიკაში და ხდება კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასება.

შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და მეთოდები გამჭვირვალე და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, ასევე ინფორმაციას საკუთარი სუსტი მხარეების და მათი გაუმჯობესების შესახებ. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების მეთოდოლოგია. ინტერვიუებით დასტურდება, რომ აღნიშნული პრაქტიკა (გასაჩივრების) არსებობს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მიღებული შეფასების შედეგების ანალიზს და დასტურდება სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებისთვის გამოყენების შემთხვევები, თუმცა პროცესი მიმდინარეობს უშუალოდ სტუდენტებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის კომუნიკაციით. კომუნიკაციის მაღალი ხარისხი და უკუკავშირის მიმღებლობა უდავოდ დადებითი გამოცდილებაა.

ევროპის უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარდა ტრენინგი თემაზე "სწავლებისა და შეფასების მეთოდები სამედიცინო განათლებაში", სადაც განხილული იქნა:

- „სწავლებისა და შეფასების მეთოდები სამედიცინო განათლებაში - MSC კითხვების მომზადება“;
- OSCE -ს დაგეგმვა და იმპლემენტაცია, ტრენინგი OSCE ს დანერგვაში.

აღნიშნული ტრენინგი უზრუნველყოფს შემფასებლის მომზადებას და მხარდაჭერას შეფასების თანამედროვე მეთოდების სრულყოფილად დაუფლებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების დოკუმენტი
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE)-ის დანერგვა - OSPE - ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის	X			

ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
--	--	--	--	--

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოკუმენტაციის, უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების მიხედვით დგინდება, რომ უნივერსიტეტი სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან პროგრამაზე უზრუნველყოფს სტუდენტზე მორგებული გარემოს შექმნას. სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიურ მიღწევებთან დაკავშირებულ საკითხებსა და ინდივიდუალური პროგრამის შემუშავებაზე სტუდენტებს კონსულტაციის მიღება შეუძლიათ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერებისაგან, ფაკულტეტის თანამშრომლებისა და დეკანის ოფისისაგან. აღნიშნული მიზნით კომუნიკაცია ხდება როგორც ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ასევე ფიზიკურად. ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ პანდემიის პირობებში პრაქტიკული მეცადინეობების არასრულფასოვნად ჩატარებიდან გამომდინარე, სტუდენტებმა მიმართეს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს ინიციატივით, რომ შესაძლებლობის ფარგლებში აღდგენილიყო მეცადინეობების გაცდენილი პრაქტიკული ნაწილი ან მომავალ კურსებში გაეზარდათ მათი განგრძლივობა. აღნიშნული ინიციატივა უნივერსიტეტის მხრიდან

დაკმაყოფილდა, რაც სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოზე მეტყველებს. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხებზე კონსულტაცია არ ითვალისწინებს სტუდენტების პროგრამის შემუშავებაში უშუალო მონაწილეობას, რაც ექსპერტა პანელის აზრით, პროგრამის განვითარებისათვის დადებითი პრაქტიკა იქნებოდა. ევროპის უნივერსიტეტის მასშტაბით მოქმედებს ელექტრონული პლატფორმა (<https://eunsis.eun.edu.ge/>), რომელიც უზრუნველყოფს სწრაფ კომუნიკაციას უნივერსიტეტსა და სტუდენტებს შორის. თითოეულ მათგანს უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე ეძლევა ელექტრონული ფოსტის მისამართი.

კარიერული მხარდაჭერის სერვისების ფუნქციას ევროპის უნივერსიტეტში ასრულებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი, რომელიც სტუდენტებს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, უზრუნველყოფს პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთობას, ატარებს ტრენინგებს რეზიუმეს მომზადებასა და ინტერვიუების ეფექტურად წარმართვის შესახებ. სტუდენტებთან შეხვედრისას ირკვევა, რომ ცენტრი უნივერსიტეტში არსებული პლატფორმის საშუალებით გეგმავს სტუდენტების რეზიუმეების ერთიანი ბაზის შექმნას, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს სწრაფად და ეფექტურად შეეძლებათ პოტენციურ დამსაქმებელთან ურთიერთობა, ასევე ელექტრონულ ფოსტაზე მიიღებენ მათზე მორგებულ შემოთავაზებებს. ცენტრი ასევე უზრუნველყოფს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარებასა და ხელს უწყობს სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნებასა და მათ ადაპტაციას საუნივერსიტეტო გარემოში.

გამოწვევად რჩება სტომატოლოგიის პროგრამაზე საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობა სტუდენტებისათვის, თუმცა აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ამ მიმართულებით მუშაობას აგრძელებს. 2020 წლის თებერვალში ტოკატ გაზიონმანფაშას უნივერსიტეტში (თურქეთი) კლინიკური პრაქტიკის გავლის მიზნით გამოცხადდა კონკურსი სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. კონკურსში მონაწილეობის პირობები გამჭვირვალეა და ასახულია შესაბამის დოკუმენტში („საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის წესი“), რომელიც უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეა ხელმისაწვდომი. ინტერვიუში სტუდენტებმა დაადასტურეს აღნიშნული კონკურსის შესახებ ინფორმაციის ფლობა. სტუდენტები ასევე ჩართულნი არიან შიდა საუნივერსიტეტო და საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ კონფერენციებში. საერთაშორისო ღონისძიებებსა და კვლევებში მათი მონაწილეობის შესახებ ექსპერტა პანელს ინფორმაცია არ მიუღია.

აკადემიური პერსონალის დატვირთვაში სტუდენტებისთვის გამოყოფილია

საკონსულტაციო საათები, რომლებიც მითითებული სილაბუსებში. მათი ოდენობა

განსაზღვრულია ორი საათით კვირაში. ინტერვიუების დროს, სტუდენტები აღნიშნავენ აღნიშნული კონსულტაციის დროის აქტიურად გამოყენებას. პანდემიის პირობებში კონსულტაციები ონლაინ ფორმატში ტარდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი • „საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის წესი“
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • აქტიურად გაგრძელდეს და გაძლიერდეს საერთაშორისო მობილობის გაზრდის მიზნით საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურისა და უნივერსიტეტის მიერ მუშაობა. • სასურველია პროგრამის შემუშავებაში სტუდენტები ჩაერთნონ არა მხოლოდ ირიბად, გამოკითხვების სახით, არამედ უშუალოდ. აღნიშნულის მიღწევის ერთ-ერთი გზა უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტურ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირი შეიძლება იყოს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 139 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ შორის 52 აკადემიური პერსონალი და 87 მოწვეული პერსონალი. აკადემიურ პერსონალს შორის 11 პროფესორია (მათ შორის 7 აფილირებული პროფესორი), 14 ასოცირებული პროფესორი (მათ შორის 5 აფილირებული ასოცირებული პროფესორი), 16 ასისტენტ-პროფესორი (მათ შორის 11 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი), 11 ასისტენტი (მათ შორის 3 აფილირებული ასისტენტი). სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური . აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი დიპლომებით, სერტიფიკატებით, ნაშრომებით, პუბლიკაციებით და პრაქტიკული გამოცდილებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა შემუშავებულია სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომლის თანახმადაც ევროპის უნივერსიტეტში პროფესორის აკადემიურ პოზიციაზე დაშვებულია სემესტრში მაქსიმუმ 270 აკადემიური საათი (კვირაში საშუალოდ 18 აკადემიური საათი), ასოცირებული პროფესორი აკადემიური პოზიციაზე- სემესტრში მაქსიმუმ 315 აკადემიური საათი (კვირაში მაქსიმუმ 21 აკადემიური საათი), ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის აკადემიურ პოზიციაზე 360 აკადემიური საათი (კვირაში მაქსიმუმ 24 აკადემიური საათი). პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს პროგრამის განვითარებაში. გამოკითხვის შედეგად პერსონალის მიერ დადებითად შეფასდა განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა.

პერსონალის სწავლის კომპეტენციის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მიმდინარეობს მონიტორინგი, რომლის დროსაც ხდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, სილაბუსის შემოწმება, სწავლის მეთოდების და ცოდნის გადაცემის უნარის შემოწმება. ასევე ხარისხის სამსახურის ხელშეწყობით ხდება

სტუდენტების მიერ აკადემიური პერსონალის შეფასება, რომლისთვისაც ასევე შემუშავებულია გამოკითხვის ფორმები. პროგრამის ხელმძღვანელებს პროგრამის შემუშავება-განვითარების პროცესში ეხმარება მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებულია დარგის სპეციალისტებით. პროგრამის შემუშავებასა და განვითარების გარდა პროგრამის ხელმძღვანელები ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელების პროცესში, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად ახდენენ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების მონიტორინგს, მუდმივად არიან ჩართულნი სტუდენტთა კონსულტირების, კლასგარეშე აქტივობების ორგანიზება - ჩატარების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • პროფესორ-მასწავლებლების პირადი საქმეები, ხელშეკრულებები; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; • სტომატოლოგიის საგანამანთლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ევროპის უნივერსიტეტში მოქმედებს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი. ცენტრში აქტიურად მიმდინარეობს სწავლების მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგები. 2019-2020 წლებში აღნიშნული ცენტრის მიერ ჩატარდა 6 სხვადასხვა მიმართულების ტრენინგ-მოდული, კერძოდ სტუდენტებზე ორიენტირებული სასწავლო კურსის დაგეგმვა, შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში, ციფრული ტექნოლოგიების ჩართვის უპირატესობები სწავლების პროცესში, პლაგიატის ამომცნობი პროგრამის ინტეგრირება სასწავლო პროცესში. ევროპის უნივერსიტეტის მიერ აქტიურად ხორციელდება პროგრამის შიდა და გარე შეფასება. ფაკულტეტი აქტიურად იყენებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს და აანალიზებს მათ. ევროპის უნივერსიტეტის პერსონალი ფასდება განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით. უნივერსიტეტში შემუშავებულია „პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი“, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის შესაძლო სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები და თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრული შესაბამისი ქულა. აფილირებული პროფესორი ვალდებულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით ყოველწლიურად დააგროვოს მინიმუმ 50 ქულა, პროფესორი-მინიმუმ 30 ქულა, აფილირებული ასოცირებული პროფესორი-მინიმუმ 40 ქულა, ასოცირებული პროფესორი- მინიმუმ 25 ქულა, ასისტენტ-პროფესორი მინიმუმ 30 ქულა, აფილირებული ასისტენტი 20 ქულა. დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, პერსონალი იღებს

განსაზღვრული მოცულობის ანაზრაურებას. მაგ: 3000 ლარი, 2500 ლარი, 2000 ლარი და 1500 ლარი. ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს ჩვენს მიერ დაისვა შეკითხვა როგორ ხდება პროფესორ მასწავლებელთა ხელშეწყობა აღნიშნული ქულობრივი სისტემის უზრუნველსაყოფად. პასუხად ცნობილი გახდა რომ ფაკულტეტი პროფესორ მასწავლებლების მოთხოვნიდან გამომდინარე ბონუსად გასცემს აღნიშნულ თანხებს წლის განმავლობაში, რათა მოხდეს მათი სამეცნიერო აქტივობებში ჩართულობა. ფაკულტეტს გააჩნია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი, თუმცა დარგობრივი სტომატოლოგიური ნაშრომების მოძიება აღნიშნულ ჟურნალში ვერ მოხერხდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი • პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, პუბლიკაციების სია • ევროპის უნივერსიტეტის კვლევის დაფინანსების წესი • ბიოსამედიცინო და სამედიცინო მეცნიერებათა ჟურნალი. • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია აკადემიური პერსონალის მიერ ქულობრივი ვალდებულებების შესრულების დროს ფაკულტეტის მიერ მოხდეს მეტი ხელშეწყობა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში, მასტერკლასებში მათი ჩართულობისათვის. ფაკულტეტის მიერ გამოყოფილი თანხა წლის განმავლობაში არ არის საკმარისი აღნიშნული ქულობრივი ვალდებულებების მისაღწევად, განსაკუთრებით დარგის სპეციალისტებისათვის, როგორც აკადემიური ასევე მოწვეული ლექტორებისათვის, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული უნარების ამაღლებას და გაუმჯობესებას. • ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალში მოხდეს დარგობრივი ნაშრომების გამოქვეყნება და სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობა პროფესორ-მასწავლებელთა თანაავტორობით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

4.3 მატერიალური რესურსი პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ევროპის უნივერსიტეტის სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა ელექტრონული და საერთაშორისო ბაზებით, ლაბორატორიები, 3D ანატომიური თეატრი, Body Interact-ი, სასწავლო კაბინეტები, სიმულაციური ლაბორატორიები სასწავლო კომპონენტებით გათვალისწინებული მანეკენებით, საგამოცდო ცენტრი, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. უნივერსიტეტის შენობა აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით. მედიცინის ფაკულტეტის კორპუსში მოწყობილია ქიმიის-ბიოქიმიის-იმუნოლოგიის, მიკრობიოლოგიის, პათოლოგიისა და ფიზიოლოგიის ლაბორატორიები, ჰისტოლოგიისა და პათოლოგიის სასწავლო კაბინეტები, რომლებიც ასევე აღჭურვილია ექსპერიმენტებისათვის საჭირო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორიული ტექნიკით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტომატოლოგიური 2 სიმულაციური კაბინეტი.

სტომატოლოგიური კაბინეტები აღჭურვილია თანამედროვე სტომატოლოგიური სავარძლებით, ბორმანქანებით და ა.შ. კლინიკური სასწავლო კურსები ხორციელდება 13 სტომატოლოგიური კლინიკის ბაზაზე სახელმწიფო პირობებით. უნივერსიტეტს საკუთარი საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა ჯერჯერობით არ გააჩნია. სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან ბეჭდური სახით. ევროპის უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია შემდეგი ელექტრონული ბაზები: EBSCO EP Package ELIT, eLFL, Elsevier, Scopus, Sciencedirect და ა.შ. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, კატალოგში ძიება საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს მოიძიოს ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი ლიტერატურა. სტუდენტები ინფორმირებულები არიან აღნიშნული ბაზების შესაძლებლობებისა და მოხმარების წესების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კორპუსი, თბილისი, 0189, სარაჯიშვილის ქ. 17); • სამედიცინო და სტომატოლოგიურ კლინიკურ ბაზებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები; • ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. • ელექტრონული ბაზები, ბაზებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://eu.edu.ge/ge).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სტომატოლოგიური სიმულაციური და პრაქტიკული ლაბორატორიების გაფართოება, სიმულაციური სტომატოლოგიური დანადგარების დამატება პრეკლინიკური სწავლებისათვის, სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის პროცესი მიმდინარეობს უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტის „შპს ევროპის უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურები“ შესაბამისად (დამტკიცებულია უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის N6 ოქმის დადგენილებით. ევროპის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის პროცესი დეცენტრალიზებულია, რაც გულისხმობს, ბიუჯეტირების პროცესში უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილებას წინასწარ განსაზღვრული ფინანსური ლიმიტების, მისი უფლებამოსილებისა და ვალდებულებების ფარგლებში, დამოუკიდებლად განსაზღვროს შემდეგი წლის ხარჯების სახეები და მოცულობები. ბიუჯეტის შედგენის პროცესში ჩართულია ფაკულტეტები, უნივერსიტეტის სტრუქტურით გათვალისწინებული სამსახურები, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბიუჯეტში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების, ფაკულტეტების და პროგრამების საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებას. პროგრამის ბიუჯეტის შედგენის პროცესში ჩართულია დეკანი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად.

ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები განხორციელებადია, რადგან იგი მხარდაჭერილია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მიერ, უზრუნველყოფილია ფაკულტეტის და უნივერსიტეტის შემოსავლებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ევროპის უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურები; • ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • დარგის სპეციალისტებისათვის, როგორც აკადემიური ასევე მოწვეული ლექტორებისათვის, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული უნარების ამაღლებას და გაუმჯობესებას მოხდეს ფაკულტეტის მხრიდან მეტი ფინანსური ხელშეწყობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5 სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური საქმიანობას ახორციელებს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების“ შესაბამისად, სადაც აღწერილია თუ რა დოკუმენტებს ეყრდნობა და რა ინსტრუმენტებს იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შიდა მექანიზმების შეფასების ფარგლებში. საგანმანათლებლო პროგრამის განახლების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის კომიტეტის

წევრებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად უზრუნველყოფს, სასწავლო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრას, რომელიც გამოვლინდება თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს.

ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს „დაგეგმე - განახორციელეშემოწმე - განავითარე“ ციკლის შესაბამისად (PDCA პრინციპი: P (plan) - დაგეგმე; D (do) განახორციელე; C (check) - შემოწმე; A (act) - განავითარე)

1. **„დაგეგმე“** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად გეგმავს ჩასატარებელ სამუშაოს, განსაზღვრავს შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს.
2. **განახორციელე** - შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:
 - ატარებს სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგს;
 - შეიმუშავებს გამოკითხვის (სტუდენტის, კურსდამთავრებულის, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, დამსაქმებლის) ფორმებს;
 - ატარებს სტუდენტთა ანონიმურ გამოკითხვას სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების განხორციელების ხარისხის, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხის, სტუდენტური სერვისების, კვლევით საქმიანობაში ჩართვის და შესაბამისი ინიციატივების მხარდაჭერის, ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს და რესურსების და სხვ. გამოკვლევის მიზნით. საჭიროების შემთხვევაში ახდენს სტუდენტების ინტერვიუებას;

- ატარებს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოკითხვას პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის კუთხით;

- ატარებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ანონიმურ გამოკითხვას. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით.

- ახდენს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს;

- ამოწმებს საბიბლიოთეკო ფონდის და სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობას;

- ახორციელებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას

3. „შეამოწმე“ - ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების პროცესს. სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემოწმდება:

- საგანმანათლებლო პროგრამები;

- სასწავლო კურსები/კომპონენტები;

- სასწავლო პროცესი;

- აკადემიური/მოწვეული პერსონალი;

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

4. **განავითარე** - ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას, რეკომენდაციების შემუშავებასა და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დასკვნების და რეკომენდაციების წარდგენას უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის

ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა დასაქმებულის მხრიდან სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული კვლევა, დასაქმებულის სამუშაო გარემოს სასურველ სტანდარტებთან შესაბამისობის კვლევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა;
- ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები;
- სტუდენტების მიერ ლექტორებისა და სასწავლო კურსების შეფასების შედეგები, შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- სტუდენტებისა და პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- სტუდენტების მიერ საგამოცდო პროცესების შეფასების შედეგები, შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- ადმინისტრაციული პერსონალის მიერ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების შედეგები, შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- სააუდიტორო მუშაობის შეფასების შედეგები, შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანალიზის შედეგების გამოყენების ანგარიში;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები;
- სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები;
- სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის გარე შეფასების შედეგები გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების მიზნით. პროგრამის გარე შეფასება განახორციელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ქეთევან გოგილაშვილის მიერ. ექსპერტის მიერ გაიცა სამი რეკომენდაცია. რეკომენდაციებზე პროგრამის ხელმძღვანელმა გასცა დასაბუთებული პასუხი. გამოთქმული რეკომენდაციები პროგრამის კომიტეტმა გამოიყენა პროგრამის გაუმჯობესებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა; - საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 22 ივლისის №167 გადაწყვეტილება; - გარე ექსპერტის დასკვნა პროგრამის შეფასების შესახებ; - ა(ა)იპ განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) დასკვნა დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების შესახებ; - დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური და მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს ჩატარებული შემოწმებების, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სხვ. გამოკითხვების შედეგებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს. პროგრამის მონიტორინგის და გამოკითხვების შედეგები ხდება პროგრამის კომიტეტის, პერსონალის და სხვა დაინტერესებული მხარეების განხილვის საგანი.

სტუდენტებს აქვთ საშუალება პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის სამსახურთან დააფიქსირონ მათი პოზიცია. გამოკვეთილი პრობლემები თუ წინადადებები შემდგომში

გათვალისწინებულია და შეტანილია ცვლილებები პროგრამაში. მაგალითები წარმოდგენილი იქნა შეხვედრაზე.

გასაუმჯობესებელ მხარეში შეიძლება ჩაითვალოს ფაქტი რომ დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის მონიტორინგში და შეფასებაში არ არის სისტემატური და ძირითადად ხორცილდება იშვიათად, პირადი კომუნიკაციის საშუალებით.

გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი თავადაც ყოველწლიურად განიხილავენ პროგრამის კომპონენტების შინაარსს, ადგენენ თემატიკის და მითითებული ლიტერატურის განახლების, საჭიროებას და სხვ. შეფასების შედეგები გამოიყენება როგორც პროგრამის ცალკეული კომპონენტების სრულყოფის, ისე მნიშვნელოვანი ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის განვითარების მიზნით მოხდა პროგრამის შედარება

ორ ადგილობრივ საგანმანათლებლო პროგრამას, კერძოდ, საქართველოს უნივერსიტეტის და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამებს, ასევე, ორი ევროპული უნივერსიტეტის, კერძოდ, ვილნიუსის უნივერსიტეტის (ლიეტუვა) და კატალონიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროგრამებს, რის შედეგადაც მოხდა გარკვეული საკითხების გათვალისწინება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, შედეგების გათვალისწინების ანგარიშები;
- სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები;

- სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის წლიური შეფასების ანგარიში; - სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანალიზის შედეგების გათვალისწინების ანგარიში; - ევროპის უნივერსიტეტის სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურები; - სააუდიტორო საქმიანობის შეფასების ანგარიშები და შეფასების შემაჯამებელი ანგარიშები; - აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები; - ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, გამოკითხვის შედეგებზე რეაგირების ანგარიშები; - საგამოცდო პროცესების შეფასების შედეგები, გამოკითხვის შედეგებზე საგამოცდო ცენტრის რეაგირების ანგარიშები; - სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა; - სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - დამსაქმებლების აქტიურად ჩართვა პროგრამის შემუშავების, პროგრამაში ცვლილებების შეტანის და პროგრამის გაუმჯობესების პროცესში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) 0
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს „ევროპის უნივერსიტეტი“

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
 „სტომატოლოგია“, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 55

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა


სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

პროფ. ვლადიმერ მარგველაშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ელენე გიგინეიშვილი:



სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნ. ჯიბლაძე

ნანა მდინარაძე

დავით მაკასარაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა

დავით მაკასარაშვილი